


სერბო სამნიბე



ს  
ი  
მ  
ე  
ნ



ქიდილი

**სერბო სამნიძე**

**სიკვდილთან ჭიდილში**

**ანუ**

**თეთრხალათიანი  
ანბელოზები**

2013

. . . კაცობრიობის დაარსება თუ მართლაც ისე მოხდა – იქმენ და იქმნა-ო ეს არავინ იცის, მაგრამ დაარსებას თან ახლდა ისეთი რამ, რაც ურთიერთწინააღმდეგობაში იყო და ამ წინააღმდეგობებმა წარმოშვა უთვალავჯერ უთვალავი სტიქია, კატაკლიზმი, სიცოცხლის წარმოშობა, შემდეგ გადაშენება, ისევ წარმოქმნა და აღორძინება, ღმერთიანობა და უღმერთობა, ცოდვა და მადლი, კარგი და ცუდი, ნათელი და ბნელი, სიცილი და ტირილი, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, ანუ სიმრთელე და ტკივილი.

ადამიანებმა დასაბამიდან დიდი ჭაპანწყვეტა გაიარეს, ვიდრე ტკივილების დაამებას და მორჩენის ხერხებს მიაკვლევდნენ. არადა, ტკივილის მომრჩენს და დამაამებელს ისევ ბუნება აწვდიდა, რომელიც ჯერჯერობით სტიქიურად, გაუთვითცნობიერებლად, მაგრამ ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოსდევდა, ანუ ადამიანი როცა ბალახ – ბუღახს და მცენარეულ საკვებს მიირთმევდა, თავისთავად ყველა ისინი დამნაყრებელთან ერთად, სამკურნალო თვისებებსაც შეიცავდა. ამას ადამიანი მხოლოდ კუჭის პრობლემების მოგვარებით ხსნიდა, დანარჩენი მისთვის გაუგებარი იყო.

რაც არ უნდა გვეხამუშოს პირველი ტკივილგამაყუჩებელი და სისხლშემწყვეტი შარდი – გახლდათ, რომელიც „ჰომო საპიენსს“, ფეხის გაჭრის სიმწრის გამო ჩაღვრილი შარდით ტკივილის დაამების გაცნობიერებისას გაუჩნდა.

ადამიანთა მოდგმას სხვადასხვა სახის ტკივილებიც სტანჯავდა, რომელთა არსებობა და არსი სრულად დღესაც არაა ცნობილი, თუმცა მაშინდელ დროში და ბევრ ტომში დღესაც მისდევენ ასეთ მარტივ, ტკივილის მომსპობ ხერხს – თუ ადამიანი ტკივილისაგან დარბოდა, ან გორაობდა, ხტუნავდა, ოხრავდა და საცოდაობდა, მას უბრალოდ კეტით მკურნალობდნენ – დაჰკრავდნენ და სუფსს გააცხებინებდნენ. ამით თითქოს შველოდნენ. ზოგიერთ

აც ისევ ბუნებისაგან იღებენ. ბუნება ბევრ უცნაურობას გვაწვდის.

ერთეული შემთხვევა: მე ანგელოზმა მასწავლა ჩიყვის განმკურნავი საშუალება, ბევრსაც ვუმკურნალე, მაგრამ სკეპტიკოსები ბუნებასთან მიმართებაში აგრესიულები და ჯიუტებიც არიან. ასე რომ არ იყოს, ყველას მშველელია ბუნება. . .

მინდა დაგუბრუნდე კეტიო სიკვდილს. დღესაც, მომაკვდავი როცა სულს ძნელად ტოვებს, ეხვეწება ვინმეს დაეხმარონ ტკივილის მოთავებაში, ან ისეთი წამალი დააღვეინონ, რომელიც მალე „მოსვენებს“, ან ტყვია ესროლონ (ომიანობის დროს ხდებოდა ამგვარი) და სატანჯველისგან იხსნან.

თუ ღმერთს არ ნებავს, არც ამ დროს დგება სიკვდილი.

აბორიგენები ვახსენე. იმათ ყველა მცენარის თვისება იციან, შიშვლები რომ ატარებენ მთელ ცხოვრებას და ჯანმრთელად გამოიყურებიან, ეს თავიანთებური, ღვთისწანერგილი, ბუნებრივი მკურნალობების შედეგია. ბევრჯერ გინახავთ ალბათ, თუ როგორ იამებენ გარეგნულ თუ შიგნულ ტკივილებს დაღეჭილი რაღაც ბალახეულით, თუ მცენარეული ფოთლებით, ყვავილებით და სხვა.

თამბაქოს, რომელიც მოჰყავთ, ისინი არა მარტო ეწევიან, ფოთლებს დეჭავენ და მიუხედავად სიმწარისა, ყლაპავენ ალბათ კიდევ. თამბაქოს კარგი ვინ თქვაო, იქნებ შემეპასუხოთ, მაგრამ გავცემ ამასაც პასუხს. წვეის დროს მას რაღაცნაირი ტკივილგამაყუჩებელი თვისება (თითქოს დარდის გამაქარებელი . . .) აქვს, იგი ფიზიკურად სხვაგვარადაც გამოიყენება. დაჭრილ თუ დაფშვნილ ხმელ თამბაქოს ჭრილობაზე აყრიან და ეფექტიანიცაა. ხანაც ამის მაგივრად მისი ფერფლი გამოიყენება. ცნობილია ისიც , რომ ავადმყოფს, თუ იგი მწვეელი არაა, ექიმი აუცილებლად „ნიკოტინის მჟავას“ უწერს და რაც მთავარია და თანაც

უწყობს ხელს განკურნებას, მაგრამ ისაა თავსატეხი, რომ მეცნიერებმა ნიადაგის ქიმიურ – ფიზიკური გამოკვლევის შემდეგაც ვერ ამოხსნეს და ნიადაგში არსებული ნივთიერებების ანალიზითა შეჯერების შემდეგაც ვერ მიიღეს ის „გაზი“, რომელსაც მუხის ხე გამოჰყოფს და ყველაზე უცნაური და დაუჯერებელია ის, რომ მეცნიერებმა ამ „გაზის“ გამოჭერ ვერ შეძლეს, რათა გამოეკვლიათ ნაერთის სახეობა.

მცენარის მსგავსი ლაბორატორია დედამიწის ზურგზე ჯერ არ შეუქმნიათ. იგი მზის სხივების ენერგიას ადამიანთა სასიცოცხლო პირობებისათვის გარდაქმნის – საჭმელად, სათბობად, სამკურნალოდ და საწამლადაც კი. ადამიანის სიცოცხლე ყოველნაირად დამოკიდებულია მზის ენერგიაზე, მის სხივებზე, სინათლეზე და ყველაფერს არეგულირებს მცენარეული საფარი ანუ ჩვენ მზის სხივებს ვჭამთ, ვიცმევთ, სამკურნალოდ და ბევრი რამისთვის ვიყენებთ.

ესენი ყველაფერი შესაბამის ლიტერატურაშია აღწერილი და ჩემი მიზანი ფართო ახსნა – გარმარტებას არ ითვალისწინებს.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მცენარეული საფარია და ამდენად საკვებად გამოსაყენებელიც არაერთგვაროვანია და ძალიან განსხვავებულიც. ამდენად ამ მცენარეთა გავლენით ადამიანთა გონებრივი განვითარებაც სხვადასხვაგვარია. მაგ. ამერიკელი მეცნიერების აზრი ერთსადაიმთხვე საკითხზე სავსებით განსხვავდება აზიელი თუ ევროპელი მეცნიერების მოსაზრებასა და დასკვნებზე. და ყველაფერ ამში „დამნაშავე“ ისევდაისევ მზის ენერგია და მცენარეთა სხვადასხვაობაა. მზის ენერგიას სხვადასხვა ქვეყნის მცენარეული საფარი ნამდვილად განსხვავებულად აწვდის ადამიანს. ეს ბოტანიკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგებისა თუ ფიზიოლოგების და შესაბამის მეცნიერთა თავსატეხია და მე ყურადღებას აღარ ვამახვილებ, ჩემი

წერტილს მიაღწია, განუკურნებელი (ზოგიერთის გამოკლებით) არაფერი რჩება და თუ „იმ ზოგიერთს“ ვერ თუ არ არჩენენ, ეს ალბათ სამყაროს სამყაროსეული კანონებით (ფართო გაგებით. . .) ასე სჭირდება.

აქ თავს იჩენს ერთი გარემოება, ხომ ხდება მედიცინაში რაღაც შემთხვევები, სადაც მედიცინა უძლურია და ადამიანები რაღაც შემთხვევებში, რაღაც მიზეზებით კვდებიან. მედიცინის მიმართ იწყება შემდეგ წყევლა-კრულვა, საჩივრები, წეწვა – გლეჯა და სხვა.

ყველაფერი ღვთითაა სიცოცხლის გახანგრძლივებაცა და სიკვდილიც. თუ ექიმმა ადამიანს ამ ქვეყნისაკენ მოახედა ვლოცავთ მას და ძირ-ფესვს ვუყვავებთ იმდენს ვლოცავთ (ხელმოკლე ხალხს აბა მეტი რა შეგვიძლია) და ვინმემ თუ რომელიმე ექიმის ხელში სული დალია, ჯიშ – ჯილაგს ამოუუტრიალებთ. გადამრჩენი გვიყვარს და სხვა კიდევ ვკძულდება.

ეს ბუნებრივიცაა.

იყო ასეთი შემთხვევა თბილისში. საოპერაციოდ გამზადებული ბიჭი მაგიდაზე „დიდი კაცის“ შვილმა შეცვალა. იგი მოკვდა დიდი კაცის შვილი გადარჩა. . . კომენტარი თქვენზეა მკითხველო. თუმცა ფინალიც უნდა მოგიტხროთ. სხვადასხვა ინსტანციებში იჩივლა დაღუპულის დედამ (თუმცა შვილს ხომ ვეღარ დაიბრუნებდა) ვიდრე ერთ დღეს ვიღაც „ღვთისნიერმა“ („ჩუმაღ“) არ მიახვედრა: უაზროა დედი საჩივრები, ექიმები ნებადართული მკვლევები არიანო . . . დაისვენა დედამაც . . .

ჩემს შემთხვევაში, ინფარქტიანს ექიმები, ღვთისნიერები რომ არ დამხმარებოდნენ, ზემოთ ნახსენები კეტიო სიკვდილი ალბათ მელოდა, რა თქმა უნდა ჯუნგლებში რომ ვყოფილიყავი.

მედიცინაში ხანდახან დროით გაწვლილი ქმედებებია და თუ ყველა ვერ იმარჯვებს, რა თქმა უნდა ღვთითაა,

ცნობილია ისიც, რომ .. „რამაც გატკინოს (თუ გაწყინოს) მანვე მოგარჩინოს“. ეს ძირითადად ეხება სასმელის მიერ გამოწვეულ უხერხულობას და ნაცადია ისიც, რომ თუ დაღვევიდან მეორე დღით ცუდად გრძნობ თავს, ერთი-ორი ჭიქა ის უნდა დალიო, რამაც მიგიყვანა იმ ზომამდე. სხვათაშორის, თუ მეორე დღეს „ჩიტივით“ ხარ, ეს არ ნიშნავს რომ ჯანმრთელი ხარ, „ეშმაკობა“ მერე იჩენს თავს, რისი მოწმე თავადაც გახლავართ.

ნაკბენი: თუ გიკბინა ფუტკარმა, კელამ (ბაზი), კრაზანამ ან ობობამ, ისევე ეს მწერი უნდა დაასრისო ნაკბენ ადგილს, აუცილებლად დაგიამებს, მორჩება რაც შეეხება მორიელის (ორთავას) ნაკბენს, მას ცოცხლად ყრიან და ინახავენ ზეთიან (უმჯობესია ქათმის) ჭურჭელში და შემდეგ მაღამოსავით უსვამენ ნაკბენზე. იგივე ქმედება ხდება გველის კბენისას, მაგრამ აქ ერთი აზრი უნდა გამოვეყო: როცა გველი იჭერს ბაყაყს და გესლავს, უმეტეს შემთხვევაში ბაყაყი თავს დაიძვრენს, ეცემა ბალახს და ჭამს, ჯერ-ჯერობით ის ბალახი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თუ ეს შევისწავლეთ მართლაც სასწაული და ფრიად სასარგებლო იქნება – რამდენი დაღუპულა გველის ნაკბენით . . .

მედიცინაში შემოღებული პრეპარატები მრავალნაცადია და ისინიც ბუნებიდანაა მიღებული, მაგრამ დღეს წამალთა ქიმიური გზით მიღება უფრო ათვისებული, რომელთაც ავიც ბევრი ახლავს კარგთან ერთად.

ფიტოთერაპიაზე და მედიცინის მიღწევებზე საუბარი ამოუწურავია.

ახლა რაც შეეხება ექიმს და ექიმობას ანუ მკურნალს და მკურნალობას.

ოჯახში ვარ შობილი და მეთუე შვილი ვარ. ბავშვობიდან რაღაც გართულება მქონია, მაგრამ როგორც მაშინ იყო გავრცელებული ასეთი აზრი - მუცელი სტკიოდაო (სხვათაშორის ადამიანი რითაც არ უნდა მომკვდარიყო ასე

სკოლის ასაკიდან დამეწყო გულის ჩივილები, იყო ამის მიზეზიც, ჯარიდან დემობილიზებულმა დიდი სტრესი მივიღე, რამაც 1971 წელში მეზღვაურთა საავადმყოფოში მომახვედრა. გაგიხარიათ, ექიმები ყველგან გულისხმიერები და კარგები არიან, მაგრამ ჩემს გულს ვერა გაუგეს – რა. მოგეხსენებათ ექიმებს ენა აქვთ მოქარგულიო თუ დათაფლულიო, მაგრამ ასეთი, უბრალო სნეულს თუ მოარჩენს, თორემ როცა დანა გელოდება, მარტო წამლები და ტკბილი ენა ვერაფერი ბედენაა.

ცოტა უნდა გადავუხვიო, ექიმების ენაო და რწმენა მართლაც ჰკურნავსო. იშვიათად თურმე ხოჯაც და მღვდელიცაო.

ჩემს სოფელში ერთი სამკურნალო წყაროა. შემოვიდოდა ვინმე დედაბერი სოფელში და ბაღნებს მიადგებოდა – შენი ჭირიმე ნენი, მადლი თუ გინდა ის აბანოს წყალი უნდა ჩამომიტანო. მობეზრებული ჰქონდათ ბავშვებს დიდრონი „გუგუმების“ თრევა, გამოთვლიდნენ დროს, ითამაშებდნენ, მერე დელის წყლით გაავსებდნენ „ყაფაღლაებს“ თანაც დედაბრის დაბარებულ შვიდ კენჭსაც ჩააგდებდნენ და ხდებოდა სასწაულებიც – იკურნებოდნენ მადლიანები.

აი, რას აკეთებს ნამდვილი რწმენა. და რომ იტყვიან ექიმის ენა არჩენსო, აქაც თუ რწმენა არ გაქვს ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ქვას და კილდეს“

და ერთი კიდევ-ისლამის მიმდევარმა კაცმა ფეხები დაიმტვრია. ცოლის რჩევას არ დაუჯერა და ექიმს არ მიმართა – ვიკითხავ და მოვრჩებიო, მაგრამ ვერაფერი უშველა „დუამ“ და წაიღო იქით წერილი . . . ისე ჩვენში დარჩეს და ხოჯებიც და მღვდლებიც არჩენდნენ ადრე მარა, ახლა შემორჩნენ თუ არა ასეთები არ ვიცი. . . . გამოგრძელდა საუბარი, მაგრამ რახან სიკვდილი ჯერ ჩვენთვის ნაადრევია, მოდით ვისაუბროთ.

მაგრამ მაინც, იქნებ ნამდვილად ანგელოზი იყო და არაფერთარი „მისამართი“ არა აქვს?.. ღმერთი ალბათ კიდევ დამეხმარება და შეეხვდება, ამისთვის ვეხვეწები რომ მაცოცხლოს. . . და იცით კიდევ რატომ ვნატრობ დიდხანს სიცოცხლეს? ვიტყვი გზადაგზა.

ყველაზე შეიძლება განსაკუთრებით წერა, მაგრამ თერაპევტი ნატო თევზაძე, რომელიც ქედის რაიონს მოეველინა, მდგომარეობა შეიცვალა – საავადმყოფოს გამოცოცხლება დაეტყო. ისეთი თბილი, ისეთი ტკბილი, ისეთი მზრუნველი რომ? . . მერედა როგორი ექიმი ? . . დიახ, უფალმა რომ „მკურნალთა“ კონკურსი „გამოაცხადა“ ნატო თევზაძე უპრობლემოდ გახდა ექიმი. ეს ხუმრობით. მაგრამ იგი ექიმთა რიგს აღმატებულად ამშვენებს. მასთან მყოფი რაღაც ისეთ მუხტს ღებულობ რომ ტკივილი თავისთავად გაიამღება. და ასეთი მუხტი მეც მივიღე. . .

რატომ ვწერ ასეთი სიტყვებით – საქმის, პროფესიის სიყვარული ვისაც არ ახასიათებს, მისგან მოვალეობის შემსრულებელი გამოვა მხოლოდ. (მინახავს და არიან დღესაც - ხავსს ებღაუჭებიან . . .)

და იცით რატომ ვაქვებ, კი არ ვაქვებ- სინამდვილეს ვადიარებ – ნატალია თევზაძეს ხოტბაც მიუძღვენი და შემდეგ მაღარიჩიცი მინდოდა გამეკეთებინა და ლამაზი სიტყვებით „გამომლანძღა“- განა მაგისთვის გიმკურნალე ბიჭო? ეგ არ უნდა გეკადრებინაო.

სიკეთე სიკეთით მინდა გადაგიხადო – მეთქი და... ფული სიკეთე არასოდესაა, მე კი შენ საკუთარ ძმასავით გიმკურნალეო. დიახ, არიან ასეთებიც... მან ჰიპოკრატეს არ უღალატა. განსაკუთრებულად შეიძლება ჩვენი რაიონის მკვიდრ არჩილ დიასამიძეზეც წერა. მისი სახელი საქართველოს ფარგლებს სცილდება და შურიანების გამო იმდენი რამ გადახდენია დიდი ტომი აიკინძება მაგრამ ცოდნას რომ ადამიანს ვერავინ წაართმევს, ეს ხომ ცნობილია. მე

არა და კარგს რომ გაიგონებ ვიღაცის მისამართით თქმულს, გულს და სულს უხარია და ასე გგონია ამ მოსმენით სიცოცხლეც გიხანგრძლივდება.

სხვაგვარად დატრიალდა მოვლენები. ცხოვრების არევა-დარევაში უხეში სტრესი მომაყენა მეც კიდევ სპეტაკი რომ ვარ, ამ ხანაში ვერავითარ მაიმუნობას და მამაძაღლობას ვერ ვიტან ძნელად გადავიტან ხოლმე ხარახურა ამბებს და ასე წვეთწვეთობით 2007 წელში (2+0+0+7=9) (9-იანი უბედურების მომტანია მუდამ) დატვირთვა მივიღე გულზე. თავისთავად დავდექი თავის დამცველი ექიმის როლში. ბავშვობიდან დღეის ჩათვლით იმდენი რამ შევისწავლე, ნებისმიერ ექიმს დავაინტერესებ. (სხვათაშორის ნატალია თევზაძემ ბევრი რამ “გამომტყუა” - კარგი გაგებით) ვიცავდი თავისთავს! 2009 წელში გაუსაძლისი ტკივილებით მივადექი ბათუმში მომუშავე თბილისელ პროფესორს, ნეიროქირურგ – გოგა ვალიშვილს.

დღეს მოგეხსენებათ ყველაფერი ფულზეა და . . . უადრესად ამომწურავი რჩევა დარიგების შემდეგ შევეკითხე, თუ რა ვალში ჩაფეხეკი. . . გაიცინა და – განა ყველაფერი ფულით იზომება? მე რჩევა მოგეცი, წადი და თავს მიხედო. ისე გამეხარდა - გადავეხვიე. აი ზრდილობით აღსავსე, თავისი თავის და სხვისიც პატივმცემელი თბილისელის ენა-მომეხსალბუნა და თითქოს ტკივილიც გამინახევრა, ხოლო მანამდე ერთმა აქაურმა {„სპეციალისტმა“} უკანასკნელ კაპიკებზე რომ დამსვა, შემდეგ „მირჩია“ (ბრავო . . .) თბილისში წასვლა.

მოვხვდი ჩაფიძის კლინიკაში. შევედი ძალიან მძიმე მდგომარეობაში. შუადღის მიწურულს ანალიზების მოთავეების შემდეგ პროფესორი კახა ნადარაია მეკითხება – თუ როგორ ჩამოვედი. ჩვეულებრივ მეთქი – ვუპასუხე. იცი ვაჟბატონო რა მაღალი ქოლესტერინი გაქვს, ამით უნდა

მერე გვავიწყდება ბევრი რამ. ღმერთმა ჩამითვალოს რომ ვტყუოდე, მაგრამ მართალი ვარ, ასეთი ღირსეულები ხშირად ჩრდილში ექცევიან.

წლის ბოლოს მოვხვედი რეანიმაციაში (ველარ ჩავედი თბილისში, სიძვირის გამო მკურნალობა შეეწყვიტე და რაც მითხრეს - ამიხდა) გულმა აღარ იცალა - რომ ველარ ვიმკურნალე თავისი გაიტანა და უკანა კედელი გაარღვია.

სასწრაფოთი ქედაში მოვხვედი. მარინა ექიმმა ძალღონე არ დაიშურა ტკივილის გაუტკივარებაში, მას ნანი შავლიძეც გვერდში ედგა და ფრიდონ სირაბიძის გამოჩენა მარტო-ნუგეშია და იმედსაც გაძლევს, მაგრამ ისინი ჩემს მდგომარეობაში არაპროფესიონალები იყვნენ, მაგრამ რაც მათ ძალებს არ აღემატებოდა, კიდევ დამეხმარნენ.

შევკავარ რეანიმაციაში. როგორც იქნა მომიხსნეს ტკივილები გაბრუებული ვარ და თანაც თვალები მესუჭება - (ამ დროს სახლში მძინავს ყოველთვის) სანამ აქ მოვხვდებოდი, წინა დღით უკვე ვიგრძენი რა მომელოდა - მთელი ღამე ხელები და ფეხები მქონდა დაბუებული.

მორიგე ექიმია თეონა ფუტკარაძე.

გაფართოებული ტაქიკარდია ანუ მწვავე ინფარქტი - მომესმა როხ როხა ხმა. ეს ექიმი ჯაიანია. მას არავისთან წარდგენა არ სჭირდება, მთელი აჭარა იცნობს. იგი უებრო მკურნალი და ხალასი იუმორის პატრონია.

თეონა ექიმი რაღაცებს მელაპარაკება, მაგრამ მე უკვე დამეძინა. დილით შემეკითხა გახსოვს წუხელ რაები მელაპარაკეო? კი-მეთქი. და აღვწერ ცოტა ქვემოთ.

მესამე დღეს თავისუფალ პალატაში გადამიყვანეს, მაგრამ დავარღვიე ინსტრუქცია და ხელმეორედ რეანიმაციაში მიკრეს თავი. მეორე ინფარქტი მივიღე. . . მორიგე ექიმია მარინა კვესელავა. ექიმი მაგრამ რა ექიმი. პირველ დღეს დღის ექიმის ერთად მორიგეობდა. ალბათ ქალებმა უთხრეს

ვილად ხარ საქართველოს საამაყო შვილი, ქალი, დედა, მკურნალი. საქართველოს საამაყო შვილობა კი ძალიან დიდს ნიშნავს. ყველაფერთან ერთად გერქვას მკურნალი და ყველას პატივით მოექცე – მძიმე მისიაა. . . ყველა მკურნალი ვერ იქნება, ისევე როგორც ყველა კოსმონავტი ვერ იქნება – ქალბატონი ლელა დავითაძე მგონი ექიმთა დინასტიის გამორჩეული პიროვნებაა და რატომ მაქვს ამის თქმის უფლება - მე ეს ვიგრძენი პირველი შეხვედრისას. როცა შემთავალიერა მკითხა, აქ ადრე ხომ არ იწვექიო. ნამდვილად არ ვწოლილვარ მაგრამ ეს მისი საიდუმლო იყოს რა დაანახა უფალმა ჩემი შეხვედვისას, მე კი ვიცი, რა დაინახა ჩემში, მაგრამ ამ დანახვისას რომ გაოცდა და შეჩქეფდა ეს შევამჩნიე. ისეთი მზრუნველი იყო ჩემდამი, როგორც კარგი დედა შვილის მიმართ და უფრო სიყვარულიანი მზრუნველიც. აბა ამისთანა ადამიანი ამის გარეშე რად ივარგებს.

მაქვს განსაკუთრებულად გამოსაყოფი – პიროვნება, ექიმი. რომელსაც ვერანაირ ეპითეტს ვერ მოუძებნი საქებას, იმაზე მეტს რომ ეკუთვნის. ეს ექიმი თეონა ფუტკარაძეა, რომელმაც რეანიმაციაში „ჩამიბარა“. მიღებისას გამომიცხადა – შენი ექიმი ვარ ფუტკარაძეო. ჰოო, ფუტკარაძეო, ფუტკარივით ფუსფუსა მშრომელი, სიტკბოს მკეთებელი, სანთლის მკეთებელი, მადლის მკეთებელი – მარცვალ მარცვალ ვბუტბუტებდი და კიდევ ჩამეძინა, სახე არ დამინახავს მისი, იმიტომ რომ ბინდივით მაწვა მხედველობაზე, მერეც და უსათვალოდ ვიყავი.

ხელმეორედ რომ შემეყვანეს რეანიმაციაში, დილით მორიგე თეონა იყო. როგორც შემოვიდა მე შემომხვდა პირდაპირ და – როგორ ხარ-ო ისე მკითხა, ამ შეკითხვას ყველა ისე ვერ ამოთქვამს. როგორც მე მომეჩვენა თუ რაა, მაგრამ ვეცდები შევალამაზო. მე მგონი მან მოსვლამდე იცოდა უკვე ჩემი ამბავი. . .

ადამი. მაშინ ევას ადამისადმი მოკრძალება და სიყვარული ჩაუნერგა ღმერთმა. თუ ადამიანისადმი უბრალოდ კაცთმოყვარეობა არ გახასიათებს, თუ შენი თავის ფასი არ იცი, მაშინ ადამიანის ვერც ტკივილს და ვერც სიხარულს გაითავისებ.

თონა ექიმის მიერ ნათქვამი – როგორ ხარო –იმ, ღვთისმიერ მონიჭებულ არაამქვეყნიურ სიყვარულს შეიცავდა . . . . იგი ღვიოდა, ყვაოდა, სამოთხის სურნელს აფრქვევდა პირსახით, თვალებით და შინაგანი სულიერებით. აი, ადამიანი, ვისაც შეუძლია ადამიანი სიტყვით გაკურნოს.

მე ეს ვიგრძენი და მას იმ მადლობას, რასაც იმსახურებს იგი, ალბათ ვერასოდეს ვეტყვი, უბრალოდ ძალა არ შემწევს, უფლისმიერი სიტყვებით ვუთხრა ყველაფერი. მაგრამ ვიცი რომ ის ყოველთვის ბედნიერი იქნება. იქნება სეთები გვიმრავლოს უფალმა, საქართველო რომ აყვავდეს „მითხრეს“ ერთხელ, ცხოვრების მანძილზე ისეთ ადამიანს შეხვდები, რომელიც სიცოცხლეს უფრო მეტად შეგაყვარებსო. ვინ არ მინახავს, რანაირი ლამაზმანი არ შემხვედრია, მაგრამ უფლისმიერი ჰარმონიით შემკული ერთი შენ გიხილე ქალბატონო გულის მკურნალო და ალბათ შენ იყავი ის, ვინც „მითხრეს“ . . . შენი თვალებიდან გამოსხივებულმა უფლისმიერმა ისრებმა მაღამოდ გამჭოლად გაიარეს გულში და მართლაც ვინატრე დიდი ხნის სიცოცხლე – მინდა შენეული ჰარმონიის შორეული მცველთაგანი მეც ვიყო. მლოცველი ხომ ვარ და ვარ. . .

მე პერანგით ვარ მოვლენილი ქვეყნიერებას. . . .

შენ ცისარტყელების ფერებში ზემოდან, ზესამყაროდან ანგელოზებმა ზარზეიმით ჩამოგსვეს ქვესამყაროში. შენს მოვლინებას ქვეყნიერების ყველა პლანეტა და ვარსკვლავი დანათოდა დილის ათინათებით აელვარებულნი. შენ დედამი-

მედიკო მედიკოსიც ნამდვილად მედიკია და მეზრვაურის მეუღლეა . . . რამოდენა მსგავსებაა არა? არადა ორთავე საქართველოს შვილები არიან.

მედვა ქალბატონს ცხოვრებაში სასაყვედურო არაფერი ექნება, პირიქით ისეთ სიხარულსა და ბედნიერებაში იქნება,, თავადაც გააკვირვებელი დარჩება. თუმცა ყველაფერი ღვთის ძალითაა, მასაც დრო აჩვენებს ყველაფერს.

ქალბატონი ინგა ცეცხლაძე – უბრალო მუშაკია, მაგრამ ისეთი მზრუნველი, გულისხმიერი და ჭკვიანი, მე რომ შემეძლოს ისეთ ადგილას გადავიყვანდი, მის გულს რომ გაეხარდებოდა. მე მას ცეცხლაგოგო შევარქვი, გამომდინარე გვარიდან. ხელმეწყობა რომ ჰქონოდა, ალბათ მისგან კარგი მედიკოსი დამდგარიყო.

სიმართლე მაინც უნდა ვთქვა – იგი წამით თვალს არ მაცილებდა, ალბათ დაავალეს. . .

ჩემს გაფანჯრებაზე მიძინებული თავს წამოწევდა და მკითხავდა ხომ არ გტკივაო . . . ამის შემდეგ ასეთი აღამიანი, ჩემგან დალოცვილი არასოდეს უბედური არ იქნება. იგი შვილთაგან ბედნიერებას მოესწრება და ეს იქნება ცხოვრებაში მისთვის უმაღლესი ჯილდო.

ბოდიშით და პატიებით ვეუბნები – მუდამ საფერებელ – სახუტებელი დიდი ბავშვია . . . მაპატიონ სხვებმაც, თუ სიმართლეს ვამბობ, მართლაც მინდოდა მოფეგრებოდი მამაშვილურად როცა მომმართავდა – ბაბუა, რამე ხომ არ გინდაო . . . ამ სიტყვებს ნურავინ გადაატრიალებს და სათავეისო-საჭორიკნოდ ნუ გამოიყენებენ.

ერთიც კიდევ – ნათელა ექთანი, ნამდვილი მედიცინის დაა, ამ სიტყვის ძველი დროიდან ფართო გაგებით. იგი ყველას – დედი, დე-თი მიმართავს და მე ეს მადლნარევი სიტბოდ მეღვრებოდა გულში იმ წამლებთან ერთად, რომელსაც მაწვდიდა. აი, ასეთ ექთანზე იტყვიან – სუ-

რომ ჩვენზე დაყრილი მიწა თქვენსავეთ ჰაეროვნად მსუბუქი გვეჩვენოს.

მადლობა და . . . მადლს უფალი გაგიასმაგებთ.. . .  
გვაპატიეთ ყველაფერი.

ერთი ნაღდი ქართველის ნაღდი სურვილი მაქვს: ქალი სიგარეტით ხელში საქართველოს, ღვთისწილხვდომილი ქვეყნის დამახინჯებლები არიან და. . . .

არ გვინდა დამახინჯებული საქართველო. . .  
და ერიც. . .

**მ** – ინდა ქებად დავიხარჯო, თუ უფალმა მომცა ძალა,  
**ა** – ნგელოზურ ქცევებს შემდეგ ხოტბა როგორ დამემალა  
**დ** – იადი სულის პატრონო, სიხარულმა ცად ამღალა  
**ლ** – ამაზი გაქვთ სახეც, სულიც, ღვთიური მკურნალის ძალა.  
**ო** -, იხარეთ, იდეგერძელეთ, ღვთით გფენოდეთ ია-ვარდი  
**ბ** – ედნიერებას გისურვებთ,ნუ გქონოდეთ წინწყლა დარდი.  
**ა** – სეულ წლობით სიცოცხლით, იფურჩქნეთ და აგვიყვავით  
**მ** – ირონ-მადლით შემკულებო, ანგელოზთ ფრთებით  
დაჰყავდეთ.

**კ** - ეთილის მქმნელად შობილნო, მადლ-მირონით ცაში  
ჰფერენდეთ

**უ** – ფლის მადლი შეგეწიოთ, მირონს დედამიწას ჰფენდეთ,  
**რ** – იჟრაჟივით სულ ბრწყინავდეთ, მზის სხივებსაც  
ნათელს ფენდეთ

**ნ** – ატერის ასრულებაში და სიტკბოებაში დაბერდეთ.  
**ა** – ლალმართალ გულით რჯიდეთ, სიხარული აგიმა-  
ლდდეთ,

**ლ** – ელო ისე გაგეტანოთ, მაქებარი გაგიმრავლდეთ.  
**მ** – ადღშემოქმედ, ხალხს გულში და მართლაც ხე-  
ლისგულზე ჰყავდეთ,

**ე** – ს ცხოვრება სიხარულად, სიტკბოებად შეგიზავდეთ.  
**დ** – იდხანს, სულ დიდხანს გეცოცხლოთ, შვილთაშ-  
ვილებს გამირად ზრდიდეთ,

\*\*\*

ურიკიდან სწოლზე გადაყვანილი მზია ინგილოს.

- კისერში ჩამჭიდვ ხელები და გადაგიყვანო მითხრა, ექიმი შემოგვესწრო ამ დროს და . . .

- მიდი მზია ნუ გეშინია ახლა ვერაფერს გიზამსო. მზიამ თვალები გადაუბრიალა და

- ამ კაცად მთელი საავადმყოფო არ ღირხართო - მიახალა. მე მომიბრუნდა და მითხრა

- არაფერში მომერიდლო. . . .

ეს იყო ხალასი ქართული სინდისი – ნამუსიანი ურთიერთობა.

\*\*\*

რეანიმაციის ურიკაზე:

ინფარქტით მოუხვედი რეანიმაციაში, თვალი მიბნელებდა ექიმები დამხვევიან. რაღაცამ თვალები მატკინა.

- მაგხელა სინათლე რად გინდათ, გამორთეთ –ვთქვი მე,

- გატკინა თვალები? მაი ექიმი შენი.

ჩამეძინა.

\*\*\*

რამდენიმე ხნის მერე განყოფილების გამგე შემოდის. მალვიძებენ

- პოლისი გაქვს? - მეკითხება

- არაფერი არ მაქვს ექიმო, ერთი გული მქონდა კარგი და ამანაც მიმტყუნა ხომ ხედავ.

- ეე ჩემო ძმაო, კაი გულით ცხოვრება არ აეწყობა – მეუბნება ლელა ექიმი.

\*\*\*

ჯიანი მსინჯავს ძილბურანში მყოფს და მეკითხება .

- თამბაქოს ეწევი? აბა თმა რატომ არ გაქვს ?

**\*\*\***

რეანიმაციიდან გაწერილი რამოდენიმე საათის შემდეგ ისევ უკან შემობრუნეს.

დილის შემოვლაზე ჯიანი მეუბნება

- იახა დევრეკო (ჩვენებურად წარმოდგენა დამაკარგვინეო)
- რატომ ექიმო, ისევ რომ შემომიყვანეს?
- ჰო, ამიტომ.

- ჩვენ ისეთი კარგები ვართ, ვერ გვტოვებსო – ჩაიკისკისა ექთანმა.

**\*\*\***

ერთ ღამით ძლიერ მეტკინა და შეეწუხდი. იმ წამსვე მომვარდა ექთანი

- ძალიან გტკივა – მეკითხება ექთანიცა და მომგლეღიც
- ცხოვრება მტკივა მეთქი მიუზღე.
- ეჰ, ცხოვრება ყველას გვტკივაო და ამოიოხრეს.

**\*\*\***

ექიმი ენით არჩენსო გამიგონია – ვთქვი ჩემთვის.

- ენით არჩენენ კი არა, ამ ენამ კაცი გადამაკარგვინა
- რა უქენი იმისთანა?
- უფულობას ვჩიოდი სულ და ზღვაზეა წასული რახანია სამუშაოდ.
- მაგ უფულობის ყვედრებამ დამმართა ინფარქტი – ვთქვი
- ჩემზე უარესი დაგმართვია – მითხრა ექთანმა

**\*\*\***

ექიმსაც ნემსის გაკეთება დასჭირდა. გაუკეთეს ვენაში. ვხედავ სულ მაგიდასთან ზის და . . .

- ვენაში როცა ნემსს აკეთებენ, წამოწოლილი უნდა იყო ადამიანი.

- რაის ბებერია ქალბატონო, ახალგაზრდა კაცია - გა-  
მომესარჩლა ექთანი

მე კი გადმომწურწულა:

- რომ მოგიდგენ გავლასავენო. . .

**\*\*\***

ერთმა ღამაზმანმა მკლავზე ნემსი გამიკეთა. მეტკინა  
ძალიან

- ასეთ ღამაზ გოგოს ასე მწარე ხელი რატომ გაქვს –  
მეთქი ვკითხე.

- წამალია მწარე, ბიძია, თორემ მე ტკბილი გოგო ვარ.

**\*\*\***

- რამე უსაშველო მჭირს? - იკითხა გულგაგლეჯილმა  
- ჭრილობაა ბიძია, ასე ძალე არ მორჩება. აგერ მე  
გაჭრილი მაქვს და რახანია არ მირჩება – და ანახებს  
ხელს ექთანი.

- ქალებისა დიდხანს არ რჩება – წავიენაკვიმატე

- ამოიდგი უკვე ენა? - დამიქნია თითი.

**\*\*\***

შემოიყვანეს შუახვევლი, ჩექმები აცვია, იქვე გახადეს.

- მაი ზედაური იქნება, ჩექმებით მიხვდი – ამბობს  
ენაკვიმატი ექთანი.

- შენც ზედაური ხარ - პასუხობს ავადმყოფი

- როგორ მიხვდი? მართლაც ზედაური ვარ.

- შენაც ჩექმები გაცვია. . .

არადა ზამთრის სეზონია.

\*\*\*

მეზობლად მწოლ ქალს ქმარმა მოაკითხა, რომ წავიდა ქმარი ქალი ექიმს ეუბნება

- ექიმო, მოვრჩი უკვე, გამწერე
- ასე მალე? რა მოხდა ?
- ქმარმა მაკოცა, ასე სახლში ეკოცნა, არც აქ მოვხვდებოდი.

ექიმებმა და ექთნებმა გულიანად ჩაიციინეს.

\*\*\*

ერთი ქალი სამ დღეს სინჯეს და ბოლოს ღორის გრიპი დაუდგინეს , სხვა პალატაში გადაყავან.

- ექიმო, ცხოვრებაში ღორი არ მყოლია, არც ხორცი მიჭამია და არც დამინახია, სად ჯანდაბიდან დამემართაო. დიდხანს სიცილით იგონებდნენ ექიმები.

\*\*\*

ექიმები ენით არჩენენო, შენ კი ასეთ ლამაზ გოგოს ენაც მწარე გაქვს და ხელიც, როგორ გინდა ავადმყოფი მოარჩინო?

- ხელი კი არ მაქვს მწარე, წამალია ასეთი, ენა კი – შენ გეჩვენება თორემ ტკბილი მაქვს.
- აბა რატომ მკბენ ხანდახან?
- აბა რა გინდა გაკოცო? მერე მაგით მორჩები?
- ცდა ბედის მენახევრეაო
- ძალიან ბევრი მონიდომე ხო იცი. ახლა ისეთ მწარე ჩემსს გაგიკეთებ, ლაპარაკის ხალისს დაგიკარგავ.

\*\*\*

შუბნის საკრებულოს სოფელ ქუთაურიდან ავადმყოფი მოათავსეს ჩემს გვერდით.

ექიმი ჯაიანი ეკითხება

## ნაწილი მეორე

### „ღღე მიწაში არ ჩავაო“ . . .

გულიკო ჩაფიძის კლინიკიდან სამკურნალო დანიშნულებით წამოვედი. თვეში ორას ლარზე მეტი ჯდება მელიკამენტები, საამისო სახსრები კი არ გამაჩნდა. ოპერაცია შვიდიათასი დოლარის ექვივალენტი ჯდება ლარებში. სად მეშოვა? არადა, ოპერაცია გადაუდებლად მჭირდებოდა, სხვაგვარად ადრე თუ გვიან გულის პრობლემის გამო უსასრულო გზას გაუუდგებოდი საიქიოსაკენ.

ადრე წაკითხული მქონდა და ვიცოდი, რომ შოკოლადი ქოლესტერინს ანეიტრალებს, ასევე ციტროს ნაყოფიც. გადავედი ბუნებრივ პროდუქტებზე და წლის ბოლომდე რომ ვეღარ მივალწიე ამ ბუნებრივობით, უკვე აღვწერე წინა ნაწილში-დამემართა ინფარქტი.

რენიმაციის შემდეგ რამდენიმე თვეს ვიწევი, ზამთარიც ხელს მიწყობდა, მაგრამ მოხდა ისე რომ რაღაცით მოვიწამლე, რამაც თავის ტვინზე იმოქმედა, ხშირად ვიწამლებოდი. ერთი ღვთისწიერი ექიმი გვყავს ქელაში, ხარისხდაუცველი პროფესორია... მიმკურნალა და ფეხზე დამაყენა არჩილ დიასამიძემ, შემდეგ სხვა ექიმი მიმასწავლეს. მასზე სასწაულებს ყვებიან – სასიკვდილოდ განწირული, კიბოთი დაავადებული განკურნა. . . და ბევრი სხვაც. . . ძალ-ღონე და ენერჯია არც გიორგი (ქორა) ხალვაშს დაუშურებია. მიმკურნალა ადამიანურად. თავს შედარებით კარგად ვგრძნობდი,, მაგრამ ოპერაცია უცილობლად მჭირდებოდა.

ვის არ ვუმართავდი ხელს, ვის არ ვეხმარებოდი, მაგრამ როცა მე დამჭირდა ათასი ლარი ვერ ვიშოვე კორონაროგრაფია რომ გადამეღო. ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილესთან მოვხვდი. დაფინანსება დამპირდა. დანარჩენზე მე უნდა მეზრუნა. მივალწიე ამასაც. მალე დახმარებასაც

შევეყნებარ გადასაღებად. დილიდან წყალიც არ დამიღე-  
ვია და არაქათი გამომეღია, მხოლოდ ვიღიმები.

- ექიმო ტელევიზორს ხშირად უყურებთ?

- ყოველდღე რა იყო?

- იცი რატომ გეცნობი? ხშირადაა ეკრანზე ვია ბუღაძე  
რომელიც ძალიან მგავს.

ამ დროს დამხმარე ექთანი (თუ ექიმი?. . .) მობრუნდა  
და. . .

- ვაიმე მართლა რა საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, არა  
ექიმო?

- ჰო, ალბათ ამიტომ მეგონა ნაცნობი.

სანამ ექიმი საფენს გადამაფენდა შიშველ სხეულზე,  
დამხმარემ მოასწრო გადმოხედვა, მიხვდა აჭარელი რომ  
ვიყავი, ჩაიცინა და მიტრიალდა.

- დიდი ხანია რაც გაწუხებს გული? – მეკითხება ექიმი.

- კი, თითქმის სკოლის ასაკიდან. ათას ცხრაას ოთხ-  
მოცდა შვიდში ლენინგრადის პულმანოლოგიის ინსტიტუტში  
გამსინჯეს და ასწლიანი გარანტია მომცეს, მაგრამ ამ  
ბოლო დროს ძალიან შემომიტია. ორიათასცხრის ბოლო  
დღეებში ორი ინფარქტი მივიღე ერთ კვირაში. ვიცი რომ  
ერთი ძარღვი მთლიანად გადაკეტილია, მეორე მესამეში  
რაც პროცენტებია დარჩენილი, ასე ვთქვათ ერთი უკვე  
დაკეტივის სტადიაშია.

- რა იცი?

- სამი წელია ვაკვირდები ექიმო, ნეკნების ამონგრევის  
სიმპტომი მაქვს, როცა დავდივარ.

ექიმმა ალმაცერად გადმომხედა და გაფიქრებით რაც  
გაიფიქრა ნამდვილად ვიცი. მჯერა რომ მართალი ვარ.გადამიღეს  
და პალატაში გადამიყვანეს. რამდენიმე ხანში შემოდის და  
მოაქვს კორონაროგრაფიის ანაბეჭდი და დასკვნა.

- გუელთმისანი ხომ არ ხარ, ან ექიმი? რაც შენ თქვი  
ისეა ნამდვილად. ერთი ძარღვი გადაკეტილია, ერთში ხუთი

დილით ერთმა ექიმმა შემოიხედა და იკითხა თავს როგორ ვგრძნობდი. ვერ გავიგე ვინ იყო, დიდი ხნის ნაცნობივით მოიქცა, დიდი სითბოც ვიგრძენი – უცხოს ჯანმრთელობა რომ შემიმოწმა. ასეთი უნდა იყოს ყველა, ასეთები არიან თბილისელები, საოცრად თბილი და ტკბილი მოპყრობისანნი.

- შენ ახლა წახვალ ბათუმში – მეუბნება თამარ ექიმი – ერთ კვირაში ჩამოდი, ჯანმრთელობის დასკვნის ფორმას გაგატან. ახლა არაფრით შემიძლია შევესება, ბევრ ექიმთან უნდა შეთანხმება. რომ ჩამოხვალ მზად იქნება.

- მადლობა ექიმო

- კეთილი მგზავრობა ჩემი ნომერი ჩაიწერე, დაგჭირდეს ეგება.

წამოვედი სახლში. აწე იოლია. . .

ერთი კვირის თავზე ჩავაკითხე ფორმა ასისტვის. ეძებეს მაგრამ არცერთ საქაღალდეში არ აღმოჩნდა.

- არ არის ექიმო და რა ვქნათ?

- როგორ არ არის, ჩემი ხელით შევაგვსე და აქ დავტოვე.

- ამ დროს საქმეთამმართველი მოვიდა.

- რა ხდება, რა ფორიაქია?

- ამ პიროვნების სამედიცინო ფორმა სადაა თუ იცით?

- რა გვარია

- სამნიძე

- აგერ დევს საქაღალდის ჯიბეში. (არავის მიუქცევია ყურადღება. მე თვალი გამექცა იმ ქაღალდზე, მაგრამ არაფერი მითქვამს).

რად შეინახეს განცალკევებით?. . .

- შენი დიაგნოზის პატრონს ამხელა გზაზე არ გარბენინებ დაფინანსებისთვის – მეუბნება თამარიკო - მიდი ჭავჭავაძის ხუთ ნომერში, სათავო ოფისია, დაგაფინანსებენ სრულყოფილად, აი ეს ანგარიშ-ფაქტურა წაიღე, საბუთს გადმოგცემენ, მოიტან და შემდეგ ოპერაციის დღეც დაგენიშნება.

დარიგებისამებრ მოვიქეცი.

თუმცა მომსვლელები, ვინც ფოიეში იყრის თავს, ცოტა-ცოტა უკეთურ სიტყვებს გაურევენ მისი მისამართით. მკაცრია და ამიტომ. უსამართლოდ მკაცრი ნამდვილად არაა. აბა ექიმი ყველას ხომ ვერ დაუყვავებს. ბოლოსდაბოლოს უზარმაზარი განყოფილების გამგეა. გულისხმიერება, გაგება კი, მაგრამ მოფერება? სიმკაცრე დიახაც საჭიროა – ეს დისციპლინის იარაღია. ასეა თუ ისე, მე მისი მწამს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იგი გაწონასწორებული პიროვნებაა და შეცდომას არასოდეს დაუშვებს მგონია, რასაც გამართლება არ ექნება.

- როცა გამოვიძახებთ, ხუთი კაცი წამოიყვანე ლიტრა სისხლია ჩასაბარებელი-მაწვევებინებს ფიქრს. არადა ვიცი რომ აქვე არიან სისხლის გაღების მსურველები, რა თქმა უნდა სათანადო ანაზღაურებით. ეს დანაშაული არაა, სისხლს ვისაც მინდა იმას მივცემ, ოღონდ მე შემიძლია ანაზღაურების გარეშეც გაცემა . . .

- ექიმო ვერავის ვერ ჩამოვიყვან.

- როგორ, ოპერაციის დროს, ხალხი არ უნდა გახლდეს?

- ექიმო, კარგად იცი რომ მარტო დავდივარ, რის გამოც თქვენგან და ბევრისგან საყვედური მესმის. უმწეოთა სიაში ტყუილუბრალოდ კი არა ვარ. . . იმ ხუთ კაცს თანხები ხომ სჭირდებათ. არ მბაღია არაფერი. ან ერთი კაცი მეხლება ან ნახევარი ბათუმი. . . არ ვიცი, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

- სისხლი აუცილებელია.

გადმომცა დანიშნულება და დავბრუნდი ბათუმში წამოსვლამდე პლესხანოვზე ჩავედი აფთიაქში. ექიმის მიერ გადმოცემული დანიშნულება ვაჩვენე და ორასორმოცდაათი ლარი მომთხოვეს. არაფერი მითქვამს, მოვტრიალდი და წამოვედი. სადგურის აფთიაქში ყველა წამალი ოთხმოცდაცხრა ლარში შევიძინე, მაგრამ ეჭვი გამიჩნდა ამოდენა სხვაობის გამო.

- ყალბი ხომ არაა ეს წამლები? – ვიკითხე.

ჩემი მეგობრის შვილია და ბედნიერების ღირსიც იყო, მაგრამ რას ვიზამთ-თავს ზევით ძალა არააო იტყვიან. მის კეთილ გულს ოდესმე ბედნიერება ეწვევა. . .

ერთ საღამოს ტელეფონი აწკრიალდა. გულმა მიგრძნო ცირა ექიმი იქნება-მეთქი და არც შევმცდარვარ.

- გისმენ ექიმო ხომ მშვიდობაა?

- ოცი მაისისთვის დაგინიშნეს ოპერაცია. შეემზადე, ორი დღით ადრე ჩამოხვალ, რაღაც პროცედურები გაქვს გასაუფლები.

- კარგი ექიმო, თქვენს ხელთა ვარ. დიდი მადლობა კარგი ცნობისათვის.

შვებით ამოვისუნთქე.

თემურის ჩემს ძმიშვილს მოველაპარაკე თბილისში წამყოლოდა.

ჩავედი თბილისში და გამოვეცხადე გუნჯუას.

ცირა ექიმი ჩამონათვალს მაძლევს, რითაც საექიმო შემოვლაზე უნდა ვიზრუნო, ასე ვთქვათ- ჯანმრთელობის ყოველგვარი შემოწმებაა, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე. ის არ ჩაატარებენ ოპერაციას, თუ არ დარწმუნდნენ რომ პაციენტი მთლიანად დადებითად ხასიათდება. რაღაც ტესტებიცაა შესავსები.

წინა დღეებში ერთი თბილისელი გავიცანი გურამი ზედგინიძე. ისიც საოპერაციოა. იმ დღეებში საექიმო შემოწმება ერთად გავიარეთ. ახლაც კიდევ ხელმეორედ უნდა გავიარო კომისიაზე. ამჟამად მახოელი ქალი გადის ჩემს ერთად ოპერაციაზე, გურამი კი არ ჩანს, როგორც ჩანს შაქარზე მკურნალობს.

ყველაფერი რიგიანად ჩატარდა. ერთი ღვთისნიერი მედლა დაგვეხმარა ამ საქმეში, ვერცხლისწყალივით მოძრავი გოგოა..

საღამოთი ანესთეზიოლოგის ინსტრუქტაჟი უნდა მივიღოთ. მე ყველაფერი დადებითი მაქვს, მახოელ ქალს კი

ქალის უმადურობაზე, მაგრამ არაფერს მოიტანდა ჩემი ლაპარაკი.

ანესთეზიოლოგი შიგადაშიგ ერთვებოდა საუბარში, მაგრამ შევატყვე, ისიც თავდაჭერილია.

- ეჰ, ვათენ-ვაღამებთ ჯანმრთელობის სადარაჯოზე და ამისთანა ადამიანები ნერვებს რომ აგიშლიან კიდევ... საოპერაციოდან გამოვიპარე, ინსტრუქტაჟი რომ ჩამეტარებინა... გაიგე ყველაფერი რაც გელაპარაკე? - კვლავ შემეკითხა.

- კი ექიმო.

- აბა ხელი მოაწერე და ხვალ დილით შევხვდებით.

კონტრაქტს ხელი მოვაწერე და პალატაში მოვთავსდი.

... ორი ღამე ძმიშვილიშვილთან ვიყავი ლილოში. ბავშვები გახარებული არიან (გოგო-ბიჭი ჰყავს თეას) სახლში მამაკაცს რომ ხედავენ. ძმიშვილის – დოდოს მეუღლე, სიძეთეას მეუღლე და კიდევ მათიანები ახალციხეში ბიზნესით არიან დაკავებული, ბავშვებს კი კაცი უნდათ სახლში რომ იყოს ოჯახის უფროსი. . . . ოლეგი ჩაგვერთო ინტერნეტით. დამაიმედეს. აბა რას მეტყოდნენ სხვას.

- ბაბუა, არ გეშინია ოპერაციისა? როგორ ბედავ? – მეკითხება თეა.

- ისეთი ტკივილები მაქვს ბაბუა, ყველაფერზე თანახმა ვარ.

- მე შეშინია შენს მაგივრად.

- არ იდარდო ბაბუა, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ იტყვიან-დღე მიწაში არ ჩავაო. თუ სასიკვდილო არ ხარ, ღმერთი მოგცემს იმის საშუალებას, თავს მიხედო. არ გაგიგონიათ -კაცი იხრჩობოდა და ღმერთს შეეხვეწა-გადამარჩინეო. ღმერთმა კი ჩამოსძახა ხელი გაანძრიე და გიშველიო. ასეა ეს. მიმახვედრა მამაზეციერმა, თუ რა უნდა მექნა

- გულისა რაც არ უნდა იყოს, სხვა რამეს არ ჰგავს.

- ბირდაბირით- მპასუხობს და ფერიასავით იცინის. შემდეგ ხელზე დამხედა.

- ვისი სახელი გაწერია, საიდუმლო თუ არაა? იყო, სამწუხაროდ მოკვდა.

- სამაგიეროდ შენ უნდა იცოცხლო- მითხრა და თან გავითიშე.

საუბარს განგებ წარმართავენ, რომ პაციენტის ყურადღება მოაღუნონ. მე არ მშინებია, წამწამიც არ შემრხევია. დამის თერთმეტისნახევარზე გადაუყვანივარ საოპერაციოდან. ჩვეულებრივ 7-9 საათი სჭირდება ამ ოპერაციას, თექვსმეტი საათი რისთვის დამჭირდა არ მომიკითხავს. ალბათ ორი დღეც მეძინა თვალები რომ გავახიდე, ისეთი მწარე ოფლი ჩამივიდა ვიყვირე თვალები მომწმინდეთ მეთქი. თემურიმ გამისუფთავა სახე. არ განვრძრეულვარ. ნარკოზი განძრევის საშუალებას არ იძლევა –თავს ახალგაზრდა პრაქტიკანტები მადგანან. მიმოვისხედე ირგვლივ.

- წყალი გინდა? მომმართა ერთმა.

- ვიცი არ შეიძლება, მაგრამ ცოტა მომაყლაპეთ, ყელის სიმშრალე მაქვს და უწყლობა რაღაცას დამმართებს.

არავითარ ტკივილს აღარ ვგრძნობ, თითქოს ახლად დავიბადე. ყველაფერი ექიმებზეა დამოკიდებული, მაგრამ ანესთეზიოლოგი სიკვდილამდე სალოცავად მეყოლება, რომ არ გამღვიძებოდა?.. ფაქტია რომ ღმერთის რჩეულია, თორემ რამდენი რამ არ გამოსვლიათ?.. . . ღმერთი ფარავდეთ.

ზაზა კაციტაძემ შემოიხედა.

- სარქველები გადავირჩინე მეუბნება და ილიმის.

კარგი ექიმია მიქებლენ და დავრწმუნდი კიდევ. ისეთი პიროვნებაა, გინდა რომ სულ მის გვერდში იყო. რაღაც ღვთისნიერი, შარავანდედისმსგავსი რაღაც უცისკროვნებს სახეს . . . დიახ, ღმერთის დიდება მოსავს. იგი ადამიანების გადამრჩენია რმერთის შემდეგ. გული მუწუკი კი არაა, გაჭრა

ქალები იცინიან

- შენი სიკეთისთვის ვაკეთებ ყველაფერს. . . .

- უნდა იარო მეუბნება ცირა ექიმი- წოლას და ჯდომას უკელი.რაც შეიძლება მეტი უნდა იარო.

- გისმენ და მჯერა ექიმო, მაგრამ ერთთავად სულ რომ ძილის ჭკუაში ვარ, ამას რა ვუყო?

- ნარკოზმა მასე იცის გადაგივლის.

ხაშურელი მეორე დღეს გაწერეს. მარტო ვარ პალატაში.

მესამე დღეს ვიღაც ოფიცერი მოიყვანეს. ცოტა ხანში აყვირდა.

- ეს სად მომათავსეთ, სული მესუთება, მომხედეთ ვინმემ.

არავინ შემოდის. ავდექი და ფანჯარა შევაღე, ეგებ მართლა უჭირს მეთქი, მაგრამ მას სხვა რამ სტანჯავდა- ვინაიდან ოფიცერი იყო, იუკადრისა მიწურ პალატაში წოლა. . . . დიახ, მიწის ზედაპირიდან დაბლაა მოთავსებული საწოლები... ეს ალბათ გათვლილია? შეიძლება!...

სადაც არ უნდა იყოს, სარდაფში ყოველთვის შმორი და ნესტია, ნაოპერაციებ ადამიანს აქ არ უნდა ათავსებდნენ.

ავადმყოფი გაიყვანეს.

შუადღის შემდეგ დერეფანში დავიწყე სიარული. ნაც- ნობი სახე დავლანდე, მაგრამ აზრზე ვერ მოვედი უცებ. შევიდა და ჩემს გვერდით საწოლზე წამოგორდა. ცოტა ხანში ისიც აყვირდა.

- რა უპატრონობაა არც ექიმი არც მედდა, პატიმარი ხომ არა ვარ? არ მომხედავთ?

ახლა მეც გავბრაზდი და აყვირდი.

- ვინ ხართ და საიდან მოსულხართ . ერთი მოვიდა, აყვირდა და გაიყვანეს, ახლა შენ ყვირიხარ. . . არ მოგ- წონთ აქაურობა? სხვაგან გადადით კაცო. . . უჰ, ვერ უყურებთ? სასტუმრო ხომ არ გინდათ?- ზედ არ შემხედავს და ისევ დერეფანში გავედი.

ერთი დამე გვერდით საწოლზე გაათია მედღამ. ოდნავ ჩქამზე იღვიძებდა . ალბათ ყარაულობაც დამიწესეს? გურამი გაწერეს უკვე. გაწერამდე მეუბნება.

- აღარ მიდიხარ კაცო? ხუთი დღით ადრე გაიკეთე ჩემზე.
- რატომ გინდა წავიდე?
- ქურდად მინდა დავჯდე.
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს ბატონო გურამ - ვუთხარი და გადავიხარხარე.
- ერთ დღეს ქალიშვილმა ინახულა გურამი. მე დამაკვირდა და. . .

- მე შენ გიცნობ, მატარებლით ერთად ვიმგზავრეთ-მეუბნება.

- ერთჯერ კი არა ორჯერ ვიმგზავრეთ ერთად- ვეუბნები მეც და ვათვალიერებ.

პირადად რომ დავინახე თვალი გავაყოლე, შემამჩნია. მიმზიდველი იყო ძალიან და იმიტომ დავაკვირდი. აქ ღმერთი იყო ჩვენს შორის. . . იგი აქაც უნდა შემხვედროდა, გულგადახსნილს და ამიტომ დამაკვირა ღმერთმა... რაც მართალია, მართალია ბევრი მინახავს, მაგრამ ნანას რომ დავაკვირდი მაშინ, იგრძნო რომ მომეწონა, მაგრამ მე არაფერი მითქვამს და ვერც თვითონ იტყოდა რამეს.

- გურამის როცა წერდნენ იმ საათებში დაურეკა ნანამ,
- რა გინდა შვილო?
  - სადილი უნდა მოგიტანო.
  - მწერენ უკვე აღარაა საჭირო.
  - მერე სერგოძია ხომ რჩება , არ მოშივდება?
  - ჰო რჩება. . . . ქურდად ჯდომას აპირებს მგონია. . .
- მოვიდა ნანა და სადილი მოიტანა. თვალები ამუღანებენ. ღიმილით მიცქერის.

- შენ მიირთვი ყველაფერი, მამას ჩვენ მოუვლით აწე. კოვზი სავიზიტო ბარათივით დამიტოვა. ალბათ ოდეს-მე მასაც ვესტუმრები... მატარებელში შეხვედრის აღსანიშ-

- თამაზ წყალს ვერ წავიდებ არ შემოდლია. თუ გამწვრეს დაგირეკავ.

ჩავდივარ პალატაში.

დილის დაპირება შუადღისას რომ შეცვალეს ამის მიზეზი ტემპერატურის ცვალებადობა იყო. რა არ იღონეს, ასე მსინჯეს, ისე მატრიალეს მაგრამ მიზეზს ვერ მიაკვლიეს. რამოდენიმეჯერ სისხლიც ამიდეს სულ დამწხვლიტეს.

- სისხლი ლაბორატორიაში უნდა გაიგზავნოს, ბაქტერიოფაგში - მეუბნება ცირა ექიმი

- უნდა დაითესოს და მიზეზი უნდა დაადგინონ, ამას ათი დღე სჭირდება. ახლა სისხლი უნდა ჩააბარო.

- რა თქმა უნდა ექიმო ჩავაბარებ.

- თანხაა გადასახდელი.

- გადავიხდი ექიმო, იმდენი კი მაქვს.

- ექიმი წავიდა. წამოწოლილმა დერეფანში, კარებთან კაცი დავვლანდე. დიდი ხნის ნაოპერაციებია ალბათ.

- ვინ ხარ და რა გჭირს? - ვეკითხები.

- ხაშურელი ვარ. ნაკერი გაიხსნა და ამიტომ მოვედი. ვუქურბ და აღარაფერს ვამბობ.

- ცოლი მომიახლოვდა მისი.

- შაქრიანია და ამიტომ გაეხსნა ალბათ- მეუბნება ქალი.

- ჰო, გავიგე, შაქრიანებს ძნელად უხორცდებთ ჭრილობა.

ამ დროს ქირურგი ვასილ (ვასიკო) ნაცვლიშვილი შემოდის მასთან და ჭრილობას უმუშავებს.

- ბატონო ვასილ

- რა იყო?

- მგონი მეც გამერღვა ნაკერი, ოღონთ შიგნითა.

არ მობრუნებულა, ისე მიპასუხა

- ამ წუთას - თქვა და სადღაც დარეკა.

ქირურგი ირაკლი ბერიძე შემოდის პალატაში. ცირა ექიმმა შემოასწრო და მაგიდას მიუჯდა.

- წავიდა და მართლაც მოიტანა. მოვაწერე ხელი, უხმოდ გამცილდა და წავიდა.

თამაზის დაუშრეკე.

- ახლავე გამოვალ არ ინაღვლო.

სადგურში ტაქსით მივედით და მატარებელში ჩავჯექი. ექიმმა დანიშნულება გამომატანა- ნეფროლოგიის, უროლოგის და კარდიოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ვიყო.

ტემპერატურა ისევ თამაშობს. ერთ ღამით სისხლმა ითქრიალა. უროლოგთან წავედი. პროფესორი მზია დიდმანიძეა რესპუბლიკურ საავადმყოფოში განყოფილების გამგე.

- ექიმო მგონი კენჭის გავლა მქონდა.

- შედი დაწეკი და გაგსინჯავ- მითხრა და შესახვევზე მიმითითა

- ექიმო შენ უნდა გამსინჯო?

- მიდი მიდი დაწეკი მოკვდა ძველი დრო. ოპერაციის დროს შიშველი არ იყავი სულ? მორცხვობა არ შეიძლება.

- რაღა გზა მქონდა დაწეკი.

კათეტერი ბუშტში შეიყვანა .

- კენჭის არაფერია ოღონდ შეხორცება გაქვს სადინარში.

- სიცხეს ხომ არ გამოიწვევდა ეგ დარღვევა?

- ალბათ კათეტერით დაგიზიანეს. აგიწვედა ტემპერატურას.

დამინიშნა წამლები და გამომიშვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჭრილობა დამინიშნა. ერთ დღით ისევ დამინდა სისხლი, ჭრილობიდან კი შავმა, ჩირქის მსგავსმა სითხემ ითქრიალა.

თბილისის მივაშურე ისევ. დერეფანში ზაზა ექიმს ვხვდები. გადავეხვიე და ვეამბორე.

- შენს ამაგს ვერასოდეს დავაფასებ ექიმო

- როგორ ხარ?

- მთლად კარგად ვერ ვარ. ნაკერი გამერღვა გაწერამდე. მომერიდა შენი შეწუხება. ისე ირაკლიმ იცოდა.

მეუღლემ, მაყვალამ კარგი მაგიდა გაგვიწყო. იქით-აქით მიმოიხედა და... გურამიმ გამოიჭირა მისი მზერა.

- ასე დახვედრა როგორ იქნება კაცო-ამბობს მაყვალა
- რა იყო, დაღევა არ შეიძლება- თქვა გურამმა.

- გურამი, გავიგე-ექიმს უთქვამს რომ თითო ჭიქა შავი ან წითელი ღვინო შეიძლებაო ჭამის დროს. ქაღს გაეღიმა და კახური ღვინო მოიტანა. ნანა მოვიკითხე, მაგრამ მორიგე იყო და ვერ მოვიდა. მეწყინა ცოტათი. წიგნი დავუტოვე საჩუქრად ნანას და წამოვედი, რის შემდეგაც ვიყავი ექიმთან. საღამოთი სადგურში ვარ, ექვს საათზე. ვზივარ და ვკითხულობ გაზეთებს. ტელეფონზე საათს დაგხედე. ექვსი ზარი იყო შემოსული გურამისგან.

დავრეკე თავად

- სად ხარ კაცო, შემაშინე. ვრეკავ რა ხანია და რომ არ მიპასუხე, შემეშინდა მართლა, ვიფიქრე ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი სად ხარ?

- სადგურში, მატარებელს ველოდები.
- ხუთი საათი მაქ უნდა იჯდე? წამოდი ისევ ჩემთან. რა გზა მქონდა მეც წავედი,

- ნანა იყო შენ რომ წახვედი მერე. წიგნი გადავეცი და ძალიან გაუხარდა. მადლობა შემოგიტვალა.

მერე ნანა დამელაპარაკა.

- დიდი მადლობა წიგნისთვის. არ დაგეხდი, აწე რომ ჩამოხვალ უნდა მესტუმრო.

- აუცილებლად ნანა, მართლა მინდა სტუმრობა. აწე რაც წიგნები გამოვა ყველას გახვედრებ.

- დიდი მადლობა.

- ისე იცოდე მთელ თბილისში ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი წიგნი გაქვს.

- კიდევ მადლობა . . .

მასში რაღაც ხარ-ირმის სიღაღე დავინახე. მას ღვთის შარავანდედი უნათებს გზა-სავალს. როცა მოძრაობს, თითქოს მის ირგვლივ სივრცეს რაღაცნაირი ნათება გააჩნია.

ღმერთო გვიმრავლე ასეთი ექიმები, რამეთუ ჩვენი სიცოცხლე შენს შემდეგ ამათ აბარიათ. არასოდეს აცრუებოდეთ გული ადამიანებზე და ჩვენც ნურასოდეს გაგვიცრუებ იმედებს- ისინი ყოველთვის გვჭირდება მოკვდავებს.

მუშაობას შევუდექი, რაც ამ ექიმების დამსახურებაა . . . თითქოს ახლად დავიბადე. . .

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ციცინო სამნიძისა

კორექტორი: ლია მახარაძე

ქელა

კულტურის სახლი

